№ 143

ოთხშაბათი, 16 ივლისი 1897 წ.

1877 – 1897

**ბაზეთი ლირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

# ივერია

№ 143

ოთხშაბათი, 16 ივლისი 1897 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

კბილის საექიმო კაბინეთი

**ვ. ი. ჭიჭინაძისა**

16 ივლისიდგან ახალს სახლში იქმნება გადატანილი: მიხეილის ქუჩა, № 81, სლივიცკის სახლი (იქ სადაც კნინას მუსიკალური სკოლა იმყოფებოდა).

## მთავრობის განკარგულებანი

—

გამორიცხულ იქმნენ სიიდგან გარდაცვალებულნი: მილიციის მაიორი თავადი პეტრე მხეიძე, და მილიციის პრაპორშჩიკი ბეჟან აფაქიძე.

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულების გამო: სტატსკი სოვეტნიკობა—ქუთაისის გიმნაზიის შტატს გარეშე მასწავლებელს ჯორჯიკიას; კოლეჟსკი რეგისტრატორობა—ხონის ორ კლასიან სკოლის მასწავლებელს ვლადიმერ მაჭარაძეს; კანის ერთ-კლასიან სკოლის მასწავლებელს ქეიშვილს და გუხის ერთ-კლასიან სკოლის მასწავლებელს მაჭარაძეს.

დამტკიცებულ იქმნენ: კოლეჟსკი სეკრეტარის ხარისხში ბატალპაშინის ოთხ-კლასიან სასწავლებლის მასწავლებელი ნაცვლიშვილი; და გუბერნსკი სეკრეტარის ხარისხში ნაზრანის საქალაქო სკოლისს მოსამზადებელ კლასის მასწავლებელი ჯაფარიძე.

# ახალი ამბავი

—

*** გზათა მინისტრი, თავ. ხილკოვი ყარსის რკინის გზის დათვალიერების შემდეგ ყარაკლისიდგან 19 ივლისს, დილით, თიანეთს მივა. აქედგან მინისტრი კავკავის გზით კავკასიის სამკურნალო წყლებზედ აპირებს წასვლას. აქ იგი 20 ივლისს, საღამოთი, აპირებს ყოფნას.

*** 1896 წელს ამიერ-კავკასიის რკინის გზას სულ 18,984,000 მ. შემოსავალი ჰქონია.

*** გუშინ, 15 ივლისს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ მიჰმართა პეტერბურგის, მოსკოვის, ვარშავის, კიევისა და ხარკოვის ქალაქის გამგეობებს და სთხოვს, გამოგვიგზავნეთ თქვენი ხელშეკრულობის პირი ცხენის და ელექტრონის რკინის გზების მმართველობასთანაო.

*** ორშაბათს, 14 ივლისს, შეერთებული კრება იყო იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს, ხელახლად დაფასება ქალაქის უძრავ მამულების, და ქალაქის გამგეობის წევრთა. შეერთებულ საკრებულოს თავმჯდომარედ ამ კრებაზედ ამორჩეულ იქმნა თავ. ა. ბებუთოვი. დამფასებლების არჩევანი იქნება დღეს, 16 მაისს.

*** 14 ივლისს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში დანიშნული იყო ხელმეორე ვაჭრობით გასასყიდად ოთხი სოფლის მამული და ოთხიც ქალაქისა, ხოლო რადგან ზოგიერთ მამულების ხვედრი შემოსატანი გარდახდილ იქმნა ამავე დღეს, გასასყიდად დარჩა: ორი სოფლის მამული და სამი ქალაქისა, აქედგან გაიყიდა ერთი სოფლის მამული და ორი ქალაქის, ხოლო დარჩა ბანკზე ერთი სოფლის მამული და ერთიც ქალაქის. (ტფილისისა).

*** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ა. ტიხომიროვი, რომელიც სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო მამულების სამინისტროს მიერ გამოგზავნილია ტფილისის საბრეშუმო სადგურის და იმის განყოფილებების განსახილველად.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ არ შეიწყნარა ტფილისის პოლიცმეისტერის ლ. პ. მასტიცკის პროექტი ავლაბარში ქალაქის ცეცხლის ჩამქრობი რაზმის განყოფილების დაარსების შესახებ იმ მიზეზით, რომ გამგეობას ამ საქმისათვის ფული არა აქვსო.

*** გზათა მინისტრს თავადს ხილკოვს, გაუგია-რა, რომ ბაკურიანის შტოს გასაყვანად ჯერ მუშაობა არ დაუწყვიათო, კავკასიის რკინის გზის უფროსისათვის უბრძანებია, რომ ჯეროვანის განკარგულებისა და კრედიტის მისაღებად რკინის გზათა სამმართველოს მოხსენება წარუდგინოს.

*** 14 ივლისს გზათა მინისტრს თავადს ხილკოვს, სხვათა შორის, რკინის გზის ტელეგრაფის მოხელეთ, კონდუქტორებმა და მეისრეებმაც მიჰმართეს თხოვნით. დღემდის რკინის გზის ხსენებულ მოხელეთა უმეტესობას სახელმწიფო სახლებში არ ეძლევოდათ საცხოვრებელი ბინა და ჯამაგირი-კი, რასაკვირველია, მცირე, ყოველს მათს საჭიროებას არ აკმაყოფილებდა და დიდად გაჭირვებულნი იყვნენ. ამისათვის სთხოვეს მინისტრს, რომ მათს გაჭირვებულს მდგომარეობას ყურადღება მიექცეს და სახელმწიფო სახლებში მიეცეთ საცხოვრებელი ბინა, ან-და სახლის ქირა ეძლიოთ ფულად. მინისტრმა ეს მათი თხოვნა ყურადღებით მოისმინა და უპასუხა, რომ ეგ საქმე სამინისტროს მორიგ საქმეთა შორის არის მოქცეული, მალე განვიხილავთ და შეძლების დაგვარად დავაკმაყოფილებთ მაგ თქვენს თხოვნასაო.

*** გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს ყოვლად სამღვდელო გრიგოლს შუამდგომლობა დაუწყია, რომ მისი საცხოვრებელი ადგილი ფოთიდგან ბათუმსა ან მარტვილში იქმნას გადატანილი.

*** მამუკაანთ სოფლის მცხოვრებთ ქალაქის მამულში 25 ნაჭერი მიწა დაუჭერიათ. ამის გამო ამ ჟამად ქალაქის გამგეობას განაჩენი შეუდგენია და, სადაც ჯერ არს, წარუდგენია საჩივარი.

*** გზათა მინისტრმა თავ. ხილკოვმა ქუთაისის წარმომადგენელი თავ. პ. ა. თუმანიშვილი მიიღო და განუცხადა, რომ კავკასიის უღელტეხილზედ გამოსაყვან რკინის გზის ქუთაისზედ გატარება მთავრობას უყურადღებოდ არ დაუტოვებია და მხოლოდ, თანახმად უმაღლესის სურვილისა, ჯერ დროებით დატოვებულია, ვიდრე ციმბირის რკინის გზის გაყვანა დამთავრდებოდესო. ამასთან მინისტრმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ინჟენერის რუდნიცკის გამოკვლევას, რომლითაც ხსენებულმა გზამ ქუთაისზედ უნდა გაიაროს, დიდი მნიშვნელობა აქვს მთელის კავკასიისათვის და ამისათვის უთუოდ შესრულებული იქმნებაო.

*** გზათა მინისტრს თავ. ხილკოვს, სხვათა შორის, ქუთაისის შავის ქვის მწარმოებელთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ-ნმა მაიაშვილმაც მიართვა თავისი საკუთარი მოხსენება იმის შესახებ, რომ ვიწრო ლიანდაგიანის რკინის გზით შავი ქვა პირდაპირ ფოთში იგზავნებოდეს კავკასიის მთავარლიანდაგით, ისე რომ შორაპანს ასცდეს. ბ-ნმა მაიაშვილმა ამასთანავე აუხსნა, თუ რამდენად საჭიროა, რომ შავის ქვის რკინის გზით გადატანაზედ საგზაო გარდასახადი შემცირებულ იქმნას, რადგანაც დიდი გარდასახადი შავის ქვის წარმოებას დიდს ზარალს აძლევს და დღითი-დღე უკან და უკანა სწევს.

*** 15 აგვისტოდგან ტფილისსა და ქ. კოზლოვში შვიდ-კლასიანი საკომერციო სასწავლებლები იქმნება დაარსებული. ტფილისში სასწავლებლის შენახვასა და ყოველ-

# ფელეტონი

—

**აი საქმე, თუ გვინდა!**

(შემდეგი *)

III

ვთქვათ, მაგალითად, მთელმა სიღნაღის მაზრის გლეხკაცობამ, თავად-აზნაურობამ და სამღვდელოებამ, ანუ, მდაბიურად რომ ვსთქვათ, ქუდზედ კაცმა დაადგინეს ასეთი პირ-შეკრულობის განაჩენი: რაც-კი გასასყიდი ხორბალი, ქერი, ფეტვი, სიმინდი, ღვინო, მატყლი და თამბაქო გვექნება—ყველა ეს სუყველამ ჩვენს საერთო საზოგადო ამბარ-საწყობებში შევიტანოთ და არც ერთს ჩვენგანს არა აქვს უფლება თუნდ ერთი იოტის ოდენა ხსენებულ ნაწარმოებთაგანი მიჰყიდოს ჩარჩ-ვაჭარსო.

აგერ ერთს მშვენიერს ტყიან-მინდვრიან მწვანე ველებიანზედ თვალ-გულმოსალხენად წამოუჭიმიათ უზარმაზარი ფიცრის ან ქვითკირის სამაზრო საზოგადო ამბარ-საწყობები და იქვე მოსჩანს ამავე საზოგადოების კანტორა ბანკიც.

აგერ დადგა ბრწყინვალე და მშვენიერი ღაღანა მაისიც, და ამბარ-საწყობების დიდი ეზო-მოედანი ყოველ-დღე გაზაფხულის მატყლის ბარდანებით დატვირთული ურმებით ჰდუღს და გადმოდის. სწონავენ მატყლის უშველებელ ბარდანებს და სამხიარულო ხმაურობა-ორონ-ტრიალით ეზიდებიან საწყობებში ქიზიყელი გმირი-მამაცი მუშები.

აგერ ამბარ საწყობების კანტორა-ბანკის კარებიდამ წირვა-მოსმენილ მლოცავებივით გამოდიან გაბმით მატყლის პატრონები და ქისებში ფულებსა და რაღაც წითელფერა ბარათებს იწყობენ. აი მიახლოვდება ერთი მათგანი და მეუბნება: ერთი ე ბარათი წამიკითხე, შენი ჭირიმე, და მეც ვკითხულობ შემდეგს:

„სიღნაღის მაზრის მეურნეთა საზოგადოების ბარათი. შენ, სოფელ პრასიაანში მცხოვრებელმა, სახაზინო გლეხმა, პეტრიკა ბართლომეს ძე ძლივგაილვიძეშვილმა შემოიტანე თქვენს საზოგადო საწყობში ოც დაათი ფუთი, ორი გირვანქა ნახევარ ჩეთვერი გაზაფხულის მატყლი, რომელშიაც მოგეცით საოჯახო და სამეურნეო საჭიროების დასაკმაყოფილებლად ათი თუმანი ნაღდი ფული, თუმანი თვეში რვა კაპეიკ სარგებლით. როდესაც კი საზოგადო მატყლი გაიყიდება, მაშინ უნდა წარმოადგინო ეს ბარათი და რამდენსაც კი შენი მატყლი დაიჭერს გასყიდულ ფასის დაკვალად, იმ შენი საკუთვნო ფულიდგან (თანახმად საზოგადოების წესდების მეორმოცე მუხლისა) გამოგერიცხება ყოველ თითოეულ მანეთზედ ორი შაური: შაური ამბარ-საწყობების გამგეობა-მოსამსახურეთა ჯამაგირებისათვის, სახალხო სკოლების დაარსება-შენახვისათვის და შაურიც შენთვისვე საკუთარ-საწევრო ფულად გარდასადებად, რომ რამდენიმე წლის შემდეგ სიღნაღის მაზრის მეურნეთა საზოგადობას ყველა სოფლებში საქალ-ვაჟო სკოლები მოგეპოებოდეთ, რამდენიმე ათასი და ათი ათასი საკუთარი თანხა და ამბარ-საწყობები გქონდეთ და აღარ გჭირდებოდეთ, როგორც დღეს, თქვენი კანტორა-ბანკისათვის ვალად აღებული თანხა. გამოგერიცხება იმავე შენი ხვედრი-საკუთვნო მატყლის ფულიდამ შენგან გატანილი ათი თუმანიც თავის საკუთვნო სარგებლით და დაუყოვნებლივ ჩაგბარდება დანარჩენი ფული სრულიად. მოგეცემათ სწორედ ასეთივე პირობის ბარათი და შემონატანის სიბევრ-ცოტავის დაკვალად ფული სულადში, შემოდგომის მატყლში, ყურძენში და თამბაქოში. გამგეობის თავმჯდომარე გიორგი თავდადებულიძე, გამგეობის წევრნი: ზაქარია ძმათმოყვარეშვილი, შალვა მჭევრმეტყველიძე“.

წამაკითხეს ასეთივე ბარათები სხვებმაც, მაგრამ, გარდა ხელ ნაწერი სახელ-გვარებისა და ფულის რაოდენობისა, სუყველაში უმეტ ნაკლებოდ ერთნაირი დაბეჭდილი სიტყვები ეწერა.

ოხ, უწყალო დროთა ბრუნვავ! O tempora, o mores!.. ეს რა შავი დღე და წელიწადი გაუთენდათ მატყლის მყიდველ ჩარჩ-ვაჭრებს. აგერ რამდენს დაძრწიან მთელ სიღნაღის შორით-შორამდე გადაჭიმულს მაზრაში კირაკუზა, მარტირუზა, კარაპეტა, გეო, ტიგრანა, პოღოსა, ხეჩო, გასპარა, არუთინა, გრიქულა, სარქო, პეტრუზა, ოჰანეზა, მატია, ოსეფა, გალუსტა, ავეტიქ მინაიჩი, ბუღდან მიკირტუმიჩი, ალაჯანა მძარცველიანცი, მინას ხალხიჭამიანცი და სხვა ზღვისოდენა იანცები, მაგრამ, ო, უფალო, საკვირველ არიან საქმენი შენნი, ეს რა ამბავია, რა ჯანდაბა და დოზანა მომხდარა, ერთს გირვანქა მატყლსაც ველარსად შოულობენ ის მატყლის მყიდველნი, რომელთაც, საითაც-კი გაივლიდნენ, თითოს ორმოცობით დასდევდნენ ტყაპუჭიანი ტეტიები და მოწიწებით ევედრებოდნენ: არა, ჩვენი მატყლი იყიდე, არა, ჩვენიო! ეხლა-კი, ფუ, წყეული ბედის უკუღმა გადატრიალებავ! ზედაც აღარავინ უყურებთ იმათ. რომელ ცხვრის ბინაში, სოფელში და სახლშიაც-კი მივიდნენ და მატყლი იკითხეს, ყველგან ასეთ პასუხს აძლევდნენ: „ველარ მოგართვეს გოჭის თავიო, ჩვენი მატყლებისას თქვენ თავისს დღეშიაც ველარას იკმევთ, იწვნევთ და იგემებთ, ყველამ ჩვენს საზოგადო ამბარ-საწყობებში შევიტანეთო; მა, აბა, რა გეგონათ, ი პირს რო შაჰკრავდიყე და ჩალის ფასად გვაცლიდითყე ხელიდამ იმოდენა მატყლს და თანაც ფუთში ხუთსა და ათ გირვანქას გვატყუებდიყე ი რაღაცა ეშმაკური საჭწვრებითო, არ იცოდით, რო ერთხელაც იყო ჩვენ თავს ვუპატრონებდითო“. „ვააა! შეშფოთებულნი ეუბნებიან ერთმანეთს ვაჭრები ამ სამწუხარო ამბის მოსმენაზედ და დიდხანს უყურებენ ერთმანეთს ენა-დაბმულები და გაკვირვებულნ-გახეტებულები ამ მოულოდნელის ელდით ჭირის ოფლ დასხმულები.

აგერ ევროპიულად ჩაცმული ვაჭარი მობრძანდა ცხენით ცხენოსან მხლებლებით და გადმოხტომის უმალვე შებრძანდა „სიღნაღის მაზრის მეურნეთა საზოგადოების“ ამბარ-საწყობების კანტორა-

*) იხ. „ივერია“, № 141.

გვარს საჭირო ხარჯს ადგილობრივნი მოვაჭრენი ჰკისრულობენ, ხოლო კოზლოვის სასწავლებლის დაარსებაში, ვაჭრებს გარდა, ქალაქი და ერობაც იღებს მონაწილეობასა.

⁂ სოფ. ბაკურციხიდგან იწერებიან, რომ იქაც აღმოჩენილა ვაზის ახალი ავადმყოფობა „ბლეკ-როტი“. ეს ავადმყოფობა ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთის გლეხის ვენახში შეუნიშნავთ, დასნეულებული მტევნები, რომლებსაც მეჭეჭებივით რაღაც ხორკლები აყრია და გამომხმარია, შეუგროვებიათ და დაუწვავთ, ხოლო სანიმუშოდ რამდენიმე მტევანი კახეთის საფილოქსერო დასის უფროსს ბ-ნის სპეშნევისა და ტფილისის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისათვის გაუგზავნიათ, რომ გამოიკვლიონ და დროზედ რაიმე საშუალება იღონონ ამ ახალის სენის წინააღმდეგ, რომელიც, ეჭვი არ არის, დიდად აზარალებს მთელს კახეთს, თუ დროზედ არ მოსპეს იგი.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე შეუმუშავებია და დაუმტკიცებია პროექტი იმისა, რომ კასპის ზღვის სამხრეთით სამუდამო სასანიტარო სათვალყურო სადგური იქმნას გამართული. სადგური სამკურნალო დახმარებას აღმოუჩენს ადგილობრივ თევზის მრეწველობის მუშათა და მეთევზურთ, რომლებიც საზაფხულოდ მრავლად მიდიან რუსეთის შიდა გუბერნიებიდგანა და კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილიდგან. იგივე სადგური იქმნება კარანტინად გადამდებ სენთა შემოტანის დროს და შესდგება ექიმისა, ფელდშერისა, ბებია ქალისა და 3 სანიტარისაგან. სადგური სულ 20,532 მან. დაჯდება.

⁂ ქალაქ ტფილისის მე-5 ნაწილის იმ სახლის პატრონთ, რომელთაც სახლები პატარა და დიდ ტალახის ქუჩებზედ აქვთ, სთხოვეს ქალაქის გამგეობას, ქუჩის სახელები გამოგვიცვალეთო. მთხოვნელთა სიტყვით, მარტო ამ სახელებისა გამო ბევრი არა ქირაობს ჩვენს სახლსაო.

⁂ სახელმწიფო მამულების და სამიწად-მოქმედო სამინისტრომ გაჰგზავნა ინჟინერ-გიდრავლიკები კოვრაისკი და პსარევი ფასანაურში იმის გამოსაკვლევად, შესაძლებელია თუ არა არაგვზედ, ფასანაურის მახლობლად, ისეთის თევზთა გამშენებელ ქარხნის გამართვა, რომ ორაგულის გაშენება შეიძლებოდეს. ამასთან მათ მინდობილი აქვთ გამოსძებნონ ქარხნისთვის შესაფერი ადგილი და გამოიკვლიონ წყაროები, რომელიც ახლო-მახლო მოიპოვება.

⁂ სახელმწიფო მამულების და სამიწად-მომქმედო სამინისტრომ გაჰგზავნა შავის-ზღვის პირის გუბერნიაში სპეციალისტი რაჰის მახლობლად აღმოჩენილის სამკურნალოს წყლების ყოველის მხრივ გამოსაკვლევად. მანვე უნდა გამოიკვლიოს მდ. მაცეტისა და ანგურის ნაპირებზედ მდებარე ადგილი, სადაც კარგის ჰავის გამო, შესაძლებელი იქმნება სამკურნალოების გამართვა.

⁂ სამხრეთ რუსეთისა და კავკასიის მიწების მოსარწყავად დაარსებულმა ცალკე ექსპედიციამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ დაეთმოს მას მდ. მტკვრის ნაპირზედ უფასოდ ადგილი სამეტეოროლოგიო სადგურის გასამართავად.

⁂ როგორც ცხინვალის განყოფილების სამაზრო ექიმი იუწყება, გორის მაზრის სოფ. ერთაწინდაში ორს გლეხს, ძმებს, ციმბირის ჭირი აღმოსჩენიათ. ავადმყოფები ამ ჟამად უკვე მოუცილებიათ დანარჩენ მცხოვრებთათვის.

⁂ ჩაქვის მამულს, რომელიც 2 ათასს დესეტინას შეიცავს, 14,000 დესეტ. სახაზინო საავარაკო ადგილი კიდევ სხვა ემატებაო, სწერს გაზ. „ჩერნომ. ვესტ.“-ი. ამ რიგად დღეიდგან ეს მამული ერთი უდიდესთაგანი იქმნებაო.

⁂ როგორც გაზ. „ნოვ. ობოზრენიე“ სწერს, ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის მიერ ს. იანეთში თავად მაჩაბლების მამულის გასყიდვის საქმისა გამო ფინანსთა სამინისტრო საგანგებო მოხელესა ჰგზავნისო.

⁂ სადგ. გელათი. 14 ივლისს, დილის 7 საათსა და 35 წამზედ, სახალხო და საქონლის მატარებელი № 301 რომ მე 19 ვერსს მიუახლოვდა, რკინის გზის მსახური ალექსანდრე ახვლედიანი ვაგონიდგან გადმოხტა და მატარებლის ქვეშ ჩავარდა. მატარებელმა მარჯვენა ხელი წააწყვიტა და საშინლად დააშავა. დაშავებულს პირველი დახმარება ექიმმა ნადირაძემ აღმოუჩინა, რომელიც ამ მატარებლით მიდიოდა და შემდეგ ქუთაისს გაგზავნეს.

⁂ სადგ. ალსტაფა. 13 ივლისს, საღამოს 5 საათზედ, მე-404 ვერსზედ, მუშათა უფროსს ბერდანის თოფებით შეიარაღებული ყაჩაღები დაესხნენ თავს; მაგრამ ამ დროს მატარებელი გამოჩნდა და ყაჩაღებმა ველარა გაბედეს-რა, პირი იბრუნეს. აქედგან ყაჩაღები სადგურ ტაუზში გადავიდნენ და აქ ქარხნის მუშები აიკლეს.

⁂ 8 ივლისიდგან 15-მდე ქალაქის მე-6 ნაწილში პოლიციამ დამპალი და გაფუჭებული 1,200 ნესვი და 400 საზამთრო აღმოაჩინა, რომელიც მაშინვე გადააყრევინა.

⁂ კვირას, 13 ივლისს, ტფილისის მშვიდე ნაწილში, „კალიუჩი ბალკაში“, მტკვრის ნაპირზედ, უნახავთ ვიღაც მკვდარი კაცი, ასე 50 წლისა, რომელსაც თავსა და კისერზედ ჭრილობა ეტყობოდა. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, მკვდარი გუმბრის მცხოვრებელი აკაკ გურგანოვი ყოფილა. გურგანოვი სულით ავადმყოფი ყოფილა, შვილს ჩამოუყვანია ქალაქში მოსარჩენად, მაგრამ კვირას გაჰპარვია და ხრამში გადავარდნილა. გასინჯვის დროს გამომძიებელმა ხაზანაშვილმა და ექიმმა პროზოროვსკიმ შეამოწმეს, რომ გურგანოვი გადავარდნილა და ისე მომკვდარა.

⁂ 12 ივლისს ბობრუისკის მცხოვრებმა ნისენ-გერ-შლემოვ გაცნელსონმა გამოაცხადა პოლიციაში, რომ საღამოს 11 საათზედ ცხენის რკინის გზის ვაგონში, როდესაც ვარანცოვის ძეგლიდგან ერევნის მოედანზედ მივდიოდი, არ ვიცი, ამომაცალეს თუ ჯიბიდგან ამომვარდაო წიგნაკი კიევის სამრეწველო ბანკის ბაქოს განყოფილებისა, რომლითაც 1000 მან. მქონდა შეტანილიო და რომელშიაც, ამას გარდა, ორი მომგებიანი ბილეთი იყოო, ერთი პირველის ხარისხისა, მეორე—სათავად-აზნაურო ბანკისა და ფულად 300 მან.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**დ. ძველი სენაკი.** ჩვენის დაბის მახლობლად, ერთის ვერსის მანძილზედ, თავად მხეიძეების მამულში აღმოჩნდა გოგირდის მადანი. როგორც სცადეს, მადანი ნამდვილი გოგირდია და დაუწმენდელად როგორც სანთელს, ისე ეკიდება; ბევრ სხვა-და-სხვა ადგილებშია ნახული და სჩანს ბლომად უნდა იყოს.

გაყიდვის შესახებ მოლაპარაკება უკვე დაიწყეს რუსეთის ცნობილ ფულის პატრონ ვ—ვთან, რომელიც თითონ ჩამოვიდა და ნახა სამადნო ადგილები; თუმცა ახლო მიდამოებში სხვა მადნებსაც ასახელებენ, მაგრამ რამდენად მართალია, არ ვიცით, მხოლოდ ვიცით-კი, ამ მადნის მთების კალთებიდგან გადმოსჩქეფს წყაროები, მაგრამ რა ღირსებისაა, არავინ უწყის.

შეიძლება, ჩვენი, ოდესღაც აღებ-მაცემობით ცნობილი, მაგრამ შემდეგ ხარბ მეზობელ დაბა-ქალაქებისაგან დაჩაგრული დ. ძველი სენაკი კვლავ აუვავდეს, რასაც ხელს უწყობს თვალ-საჩინო მდებარეობა და გულ-შემატკივარნი მკვიდრნი.

ფერის-ცვალება-მარიამობის „საიარმუკოდ“, რომელიც განთქმულია მთელს სამეგრელოში, მზადება უკვე დაიწყეს; სხვა და-სხვა დაბა-ქალაქებიდგან ჩამოდიან ვაჭრები ბინისა და სავაჭრო ადგილების დასაქირავებლად. იმედი აქვთ, წელს გაცილებით მეტი ვაჭრობა იყოს შარშანდელზედ.

## წერილი სიღნაღიდგან

წრევანდელმა ნიაღვარ-წვიმიანმა წელიწადმა არც ჩვენი ქ. სიღნაღი და მისნი მკვიდრნი დასტოვა უზიანოდ. ზაფხულის განუწყვეტელმა დიდმა წვიმებმა დაანგრია ორ-სართულიანი სახლ მარანი აწ განს. მელქო შლამოვისა; იმისივე წყალობით ჩამოწვა უზარმაზარი კლდე სიღნაღის წყლის გზაზედ და შეგვიკრა წყლის სავალი გზა ანაგის ხევისა, იქვე ანაგის ხევის გაღმა მარჯვნივ დააზიანა რამდენიმე ვენახი. არც ქალაქის გზებსა და ქუჩებს დააყარა კეთილი ღვარ-თქაფმა. ფოსტის ქუჩის ბოლოში დღისითაც კი შეუძლებელია თავისუფლად გავლა, არა თუ ღამით. ამისთანა სახიფათო ქუჩაზედ არც ერთი ფარანი არ არის. განა მარტო ეს უპატრონო და უბედური ქუჩაა ასე უყურადღებოდ დატოვებული? ასეთსავე მდგომარეობაშია დიდი გზა ყაზარმიდგან მოკიდებული ნუკრიანამდე. (ნუკრიანიც სიღნაღია, მაგრამ ანგარიშში არ არის). ეს გზა ტფილისიდგან მომავალ და სიღნაღ-ტფილისის ფოსტის გზად იწოდებოდა, რომელიც სულ სოფლის გლეხის მარჯვენამ გააკეთა, მოკენჭა, გაუკეთა აქეთ-იქით ნაპირებზედ წყლის სავალი არხები და ჩააბარა ქალაქს მოსავლელად. მაგრამ ქალაქმა უყურა-

---

ბანკში და თავაზიანის სალამ-ქალამის მიცემით და მოღიმარე სახით ეუბნება გამგეობას:

— კნიაზებს ვახლავარ! ვა, ახარ ეს რა ამბავია, დალოცვილებო, გინდათ, რომ ჩვენი ხელობა ვაჭრობა ჩამოგვაცალოთ? მთელი მაზრა მოვიარე და ერთი გირვანქა მატყლიც ვერ ვიშოვნე. ჯერ ხუმრობა მეგონა, არა მჯეროდა, მარგრამ მართლაც სულ აქ მოგიგროვებიათ. ვა, დალოცვილებო, წარღვნა ხომ არ მოდის, რომ ნოეს კიდობანივით უზარ მაზარი ამბრები გაგიმართავთ და სუყველას აქ აგროვებთ. გთხოვთ ერთი ორი ათასი ფუთი მატყლი მომყიდოთ, როგორ მომცემთ? „კრაინი ცენა“ ბრძანეთ.

— მატყლის გასყიდვა არ შეგვიძლიან, ბატონო, ეუბნება გამგეობის წევრი.

— ჩვენი მატყლი თანახმად ჩვენისავე წესდებისა რუსეთის ან სხვა სახელმწიფოების ფაბრიკებს უნდა მივყიდოთ.

— ვა, დალოცვილო, ფაბრიკები თავრიზის ვირები ხომ არ არიან, რომ რაც თქვენ გსურდეთ, ის აჰკიდოთ; ერთიც ვნახოთ ჯორის გაჰქირი ქნეს და აღარ იყიდეს. ის არა სჯობია, როგორც აქამდის ძმები ვყოფილვართ, ისევ ძმები ვიყვნეთ და ნაღდი ფული ჩვენგნით მიირთოთ ხოლმე.

— ყიდვით-კი როგორ არ იყიდიან და აი, დღესაც მივიღეთ რუსეთისა და უცხო ქვეყნის მეფაბრიკეთა წერილები, მაგრამ შეიძლება ის დროც დადგეს, მეფაბრიკეებსაც აღარ ვაძლევდეთ ჩვენს მატყლს.

— ვა, დალოცვილო, მაშ კიტრის წნილად ხომ არ შეინახავთ-და!

— წნილად რად შევინახავთ. მოგეხსენებათ, რომ საქართველოში გლეხიც, თავადიც და აზნაურიც—თითქმის ყველანი შალის ჩოხა-შალვრებს იცვამენ. იცვამენ ჩვენი ქალებიც შალ-თივთიკის კაბა-კურტკებს. ხმარობენ აგრეთვე საქართველოში დიდ ძალ საცალოს, ხურჯინს, ნაბადს, იაფინჯს, ფარდაგს, ჯეჯიმს, ხალიჩას და მრავალ სხვა ამისთანას; ნაცვლად იმისა, რომ ყველა ესენი სხვა ვიყიდოთ და სხვას ვაძლიოთ უანგარიშო მოგება, ერთს დროს ჩვენ თითონ დავმართავთ დიდ საქსოვსაფეიქროებს, ჩვენ თითონ მოვქსოვთ და მოვთელავთ ხსენებულ საგნებს ჩვენისავე ქვეყნის მატყლით, მუშა ხალხით, და მაშინ იმ საგნებს ჩვენც მოვიხმარებთ და ბაზარშიაც გავიტანთ გასასყიდად. მართალია, დღეს სიღნაღის მაზრაში ძალიან მცირედ მოდის პარკი, მაგრამ იმედია ჩვენი საზოგადოებაც იმის წარმოებასაც გააფართოვებს, როგორც იმერეთში, რადგანაც იმასაც ყოველმხრივ ხელს შევუწყობთ და მის ძაფსა და ქსოვილებსაც საჭირო ბაზარს აღმოვუჩენთ.

აგერ გამობრძანდა საზოგადოების კანტორა ბანკიდამ ჩარჩ-ვაჭარი, რომელსაც მატყლის მყიდველი მრავალი ჩარჩ-ვაჭრები ბუზებივით მიეხვივნენ ბანკის ეზოში და ცერცვივით მიაყარეს აქეთ-იქიდგან:

— ჰა! ქალია თუ ვაჟი? რამთენი ფუთი იყიდე? როგორ იყიდე? ჩვენც მოგვყიდიან, თუ არა?

— ეეე, ხელი აიღეთ ერთი, მამა გიცხონდათ-და! რის ვიყიდე, რის ფსტანი, რის ფლავი, რის ბოზბაში, ისეთნაირ ბოლმაზედ ვარ მოსული, რომ ჩემი გული ზღვას ერევა. ერთი ნახეთ, რა ემეებს ამბობენდა: ჩვენ მატყლს ისემე, პირდაპირ რუსეთისაკენ და ზაგრანიცისაკენ ატპრავლიაიტი უნდა უყოთო. არა, ძმავ, ჩვენი საქმე მორჩომილია დღეის იქით, აქ აღარ გვეცხოვრება, როდესაც ქართველებმა ამნაირი ეშმაკური ემეები დაიწყეს, უნდა ავიყარნეთ და ჩვენ საკბილო ხალხს მივატანოთო,—მწუხარე ამოოხვრით დააბოლოვა მან, რომლის სიტყვები ყველას ლოდივით დააწვა გულზედ, სახე შეუმწუხარდათ, მეტის ჯავრისაგან ენა დაებათ და საზოგადო ამბარ-საწყობის არე-მარიდგან ბზობის ყვავებივით დაიქსაქსნენ აქეთ იქით.

დაილია მკათათვეც და აგერ მეურნეთა საზოგადოების ამბარ-საწყობების წინ ბუზივით ირევიან მატყლის პატრონები. მატყლები მოსკოვის მეფაბრიკეებს უყიდნიათ, წაუღიათ კიდეც და დღეს ყველანი თავიანთ ხვედრს ფულს იბარებენ ბარათებით.

— ჰეე, პა-პა პა!.. ე რა ღვთის მადლი და წყალობა მოგვარგინეს ი დედ-მამა სულ კურთხეულმა ჩვენმა ნაჰწავლებმა. აქამდინ მე ნაჰწავლებისა არა მჯეროდა-რა, მაგრამ, არ დაიჯერებთ, კაცებო, გამჩენის მადლმა, ეხლა ყველა იმათი რჩევა და სიტყვა მხსნელ ღმერთივით და ხემწიფის ბეჭედივით მიმაჩნია. აბა, იმათ რომ ეს არ მოეგონებინათ, ფუთს მატყლში ამთენ ფასს ვინ მოგვცემდა, ამის ნახევრათაც ძლივს გავყიდდით ჩვენს ტირაკუზა-მარტირუზებში, და წონაში კიდე ხო სუ ერთიანათ დაგვაბრმავებდნენ, როგორც ყველთვინ,—ამბობდა მეცხვარე.

— ნამდვილია, ნამდვილი! ცხონდა იმათი დედ-მამის სული, რომლებმაც ეგეთი მადლი და სიკეთე გვიჩინეს და სამუდამოდ გვიხსნეს ორფეხა მგლებისაგან,—მიუგებდნენ აქეთ-იქიდგან.

დადგა მარიამობის თვეც და აგერ საზოგადოების უზარ-მაზარი ეზომოედანი სულადის ურმებით დუღს და გადმოდის. გაცხარებულები სწონავენ სულადს და ოფლის ხვითქში გაწურული მუშები ერთის ამბით და ყოფით მიარბენინებენ პურ-ქერ-ფეტვის საცალო ტომრებს და ამბარში სცლიან. აგერ სულადის პატრონებიც ჭიანჭველებივით შეუწყვეტლად გამოდიან თავიანთ კანტორა-ბანკიდამ და თან გამოაქვთ წითელ-ფერა ბარათები და ფული.

ოჰ, რა საშინლად მებრალებიან ჩვენი მაზრის ზღვის ოდენა ვაჭარჩარჩ-მოვახშეები, როცა ვუყურებ იმათ დაღვრემილსა და მწუხარედ დაფიქრებულ სახეს. ან-კი ვინ არ შეიბრალებს, როდესაც ბედმა ასე ულვთოდ უღალატათ და ტეტიას შაშხანა თოფივით დაუქანგდათ ის ორ-ლიტრიანი თუნუქის ჩანახები, რომლითაც შარშან ბზის ფასად იღებდნენ მრავალ სულადს და წელს-კი მუქაზედ დაყრაც არავინ მისცათ; სადაც-კი მივიდნენ სულადისთვის, ყველგან ასეთი პასუხი მიიღეს: ვეღარ მოგართვეს გოჭის თავიო.

აგერ მეურნეთა საზოგადოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღებოდ დასტოვა იგი და ზემოხსენებული არხები დღეს ქვიშითა და შლამით აივსო და წყალმა თავისუფლად დაიწყო ზედ აქეთ-იქით დენა.

აი ამ უპატრონოდ მოსიარულე წყალმა მიაყენა რამდენიმე კომლს საგრძნობელი ზარალი. ალ. ელიზბარაშვილის სახლს მიაწვა ეს გამალებული წყალი, გახეთქა სახლის კედელი და კინაღამ შიგ ამოარჩო ცოლ-შვილით მძინარე ხალხი. წალეკა ნათეს-ნაბარი და აავსო ღორღით ბაღჩები, იქიდგან დეეშვა და დაანგრია სხვა შენობები.

ამის თაობაზედ ბევრი სთხოვეს ქალაქის მოურავს რაიმე ღონე ეღონა, არხი გაეწმინდა და ხალხი ამ დავიდარაბისაგან დაეხსნა, მაგრამ იმან ამ სამართლიან თხოვნას ყურადღებაც არ მიაქცია.

ასეა ჩვენკენ და ეხლა აღარ ვიცით ვის მივმართოთ, ვისთან წავიდეთ. უფროსთან მიხვალ, ბოქაულზედ გვითითებს, ბოქაულთან მიხვალ მოურავზედ გვითითებს, მოურავი ამბობს, —მე ქუჩების დასაგველადა მაქვს ფულიო. მერე რამდენჯერ დაავვეინეს წელს სიღნაღის ქუჩები, ან როგორ დაგვიდნენ ქუჩებს, როდესაც დღეში ორჯელ ირეცხებოდა ნიაღვრებისაგან? ამათი დასაგველი მხოლოდ ოციოდე საჟენის სიგძე ბულვარია და ამას ჩამოგვიან ხოლმე წელიწადში ორჯელ ან სამჯერ და ამას ეძახიან ქუჩების დაგვას. გვიხაროდა თვით-მართველობის შემოღება, მაგრამ ხარჯის მეტი არაფერი მოგვმატებია. არც ერთ ქუჩაში არ შეგიძლიანთ ისე გაიაროთ, რომ ცხვირზედ ხელი არ მოიჭიროთ, ისე ჰყარს უწმინდურებისაგან, ნამეტნავად წმ. სტ. უბანი. ჭოტორ-ნუკრიანი ხომ ღვთის ანაბარობაზეა მიგდებული.

აქ ამოირჩიეს კომისია შავ ჭირთან საბრძოლველად და ხალხის გასაფრთხილებლად. მაგრამ ამ კომისიის წევრები მარტო სანიტარების სახელს ატარებენ, სხვას არაფერს აკეთებენ. მხოლოდ ერთად-ერთია მათში, რომელიც ქუჩა-ქუჩა დადის და ეზოებს ჰსინჯავს, მაგრამ ერთის კაცის მეცადინეობით რა გამოვა? საჭიროა ყველამ მოიწადინოს და ქალაქი გაასუფთაოს როგორმე. თორემ თუ ვინიცობაა და გვესტუმრა ის რაღაც შავი ჭირია, მერწმუნეთ, საუკუნოდ დაიბუდებს და ფეხს აღარ მოიცვლის.

ეხლა გაცხარებული მკა-ლეწვის დრო აქვთ და ჩვენი სიღნაღელი ვაჭარიც არა ჰკარგავს დროს: ჯუჯუ-კალიასავით დაესია სოფლებს და იმათ კალოებს, თავიანთ ოც გირვანქიან ფოხალ-ლიტრა-კასრებით. სიღნაღში თითქმის კაცი აღარაა, სულ სოფლებში გაიხვეტნენ, ბაყალი, მეწვრილმანე, ბაზაზი და მიკიტანი სულ სოფლებს დაე˒ია. აქ თუ ღიაა დუქანი, იმისთვის, რომ სოფლის ხალხის მოსატყუებელი მასალა ჰქონდეთ და დროზედ მიაშველონ სოფლის დუქნებს, თუ ვინიცობაა დააკლდათ-რა. ნეტავი ვიცოდეთ, რას აკეთებს სოფლის პატრონი მოხელეობა, მაშინ, როდესაც ესე უწყალოდ დასევია სოფელს სხვა-და-სხვა მძარცვაკ-მგლეჯავი ხალხი?..

რაზმაძე

---

# რუსეთი

—

— რადგანაც ფინანსთა სამინისტროში ამ ჟამად მატყლით ვაჭრობის შესახებ რამდენიმე საკითხია წარდგენილი, სამინისტროს განუზრახავს ამ შემოდგომაზედ მოსკოვში მატყლის მწარმოებელთა კრება მოახდინოს და საშუალებანი გამოძებნოს, რომ მატყლით ვაჭრობის საქმე როგორმე გააუმჯობესოს.

— ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტის დირექტორის ვ. ი. კოვალევსკის თავმჯდომარეობით ფინანსთა სამინისტროსთან ბჭობა მოხდება იმის შესახებ, თუ ბამბით ვაჭრობა როგორ უნდა გაუმჯობესდეს და რა საშუალებანი უნდა იღონონ, რომ ერთობ რუსეთის ბამბის წარმოება განვითარდეს. ბჭობაში მონაწილეობას მიიღებენ მეურნეობისა, შინაგან საქმეთა, გზათა, ფინანსთა სამინისტროსი და ბამბის მწარმოებელთა და მოვაჭრეთა წარმომადგენელნი.

— კომისია, რომელსაც ფაბრიკაში მცირე წლოვან მომუშავეთა სავალდებულოდ სკოლაში სწავლების საქმე აქვს მინდობილი, ამ მიმდინარე წელს, შემოდგომაზედ, კვლავ შეუდგება მუშაობას საერო განათლების სამინისტროსთან.

— 1897—1898 სამოსწავლო წელს საიმპერატორო სამხედრო-სამკურნალო აკადემიაში კბილის ექიმობის დიპლომზედ ეგზამენის დამჭერთათვის გამოცდა უფრო ადრე დაიწყება, ვიდრე წარსულს წლებში, სახელდობრ: სამოსწავლო წლის პირველს ნახევარშივე. გამოცდის უფლება, წარსულ წელთა მიხედვით, მხოლოდ იმათ ეძლევათ, ვისაც კბილის ექიმობის კურსებზედ ლექციები მოუსმენიათ და საშუალო სასწავლებლების, მაგალითად, გიმნაზიის ექვსი კლასის გათავების მოწმობა მაინც უთუოდ აქვთ.

---

# უცხოეთი

—

**საბერძნეთ ოსმალეთის ზავი.** თითქმის ორ თვეზედ მეტია რაც ოსმალეთ-საბერძნეთის ზავის შესახებ მოლაპარაკება დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში ელჩებს და თევფიკ-ფაშას ცამეტი კრება ჰქონდათ, რომელზედაც ზავის პირობების სხვა-და-სხვა საგნები იყო განხილული. მოლაპარაკების ასე გაჭიანურების მიზეზი ოსმალეთის მთავრობა იყო. ეჭვი არ არის, რომ ზავის დადება ორ-მეომარ სახელმწიფოთა შორის ერთი თვის განმავლობაში და უფრო ადრეც შეიძლებოდა, მაგრამ ოსმალეთმა ისე გაჭიმა და გააჭიანურა მოლაპარაკება, რომ ორთვესაც გადასცილდა. ოსმალეთი სცდილობდა რაც შეიძლება მეტი ესარგებლა გამარჯვებიდგან და ამიტომ ყოველგვარ საშუალებას მიჰყო ხელი თავის სურვილის განსახორციელებლად. ასე გასინჯეთ ევროპის სახელმწიფოთა წაჩხუბება და მათშორის უთანხმოების ჩამოგდებაც კი მოიწადინა, მაგრამ ყოველმა შრომამ ამაოდ ჩაუარა: ევროპამ ნათლად დაანახვა ოსმალეთს, რომ ის ერთხელვე გადაწყვეტილს არ გადაუხვევს და სანამ ყოველივე საქმე დასრულებული არ იქმნება, ოსმალეთს თავს არ გაანებებს. ამ რიგად ბრწყინვალე პორტას მრავალ-გვარ ხრიკებმა არ გასჭრეს და ბოლოს იგი მაინც იძულებული გახდა სახელმწიფოთა გადაწყვეტილებას დაჰმორჩილებოდა. როგორც გუშინ წინ მოსული დეპეშა იუწყება, ელჩებს და თევფიკ-ფაშას სულ რამდენიმე მუხლიღა აქვთ განსახილველი და ზავის დადებას ორი კრების მეტი აღარ დასჭირდებაო. აშკარაა, დარწმუნდა რა ოსმალეთი თავის ხრიკების უნაყოფობაში, გადასწყვიტა ბოლო მოუღოს ამ გამოურკვეველ მდგომარეობას და თვითაც მოისვენოს და სხვებიც მოასვენოს. განსაკუთრებულ საბერძნეთისთვის იქმნება ზავის მალე დადება სასარგებლო, რადგანაც აუარებელმა ჯარის შენახვამ და გამოკვებამ ფულის ხსენება გამოულია და უკანასკნელ სიღარიბემდის მიიყვანა იგი, როგორც გაზეთები იუწყებიან.

—

**გერმანია.** ამ ბოლოს დროს გერმანიის ჟურნალ-გაზეთები ძალიან აალაპარაკა იმ გარემოებამ, რომ რუსეთის ელჩი ნელიდოვი კონსტანტინეპოლიდგან რომში იქმნა გადაყვანილი. მათის აზრით ასეთს ცვლილებას დიდი მნიშვნელობა ექმნება. „ნელიდოვი გამოცდილი დიპლამატია, ამბობენ გაზეთები, თხუთმეტი წელიწადია კონსტანტინეპოლში დიდის ნიჭითა და გამოცდილებით უძღვება რუსეთის პოლიტიკას და იმის იქვე დატოვება უფრო საჭირო და სასარგებლოა, ვიდრე რომში გადაყვანაო. აშკარაა რუსეთს სულ სხვა აქვს განძრახული და განძრახვის სისრულეში მოსაყვანად ნელიდოვი ამოარჩია, როგორც გამოცდილი და ნიჭიერი დიპლომატი“. ყველას მოეხსენება, რომ გერმანია, ავსტრი-უნგრეთი და იტალია სამთა კავშირს შეადგენენ. გერმანიის გაზეთის სიტყვით რუსეთს და მასთან ერთად საფრანგეთს სწორედ ამ სამთა-კავშირის დარღვევა და იტალიის დაშორება აქვს აზრად. თითქოს ამ ბოლოს დროს იტალიაც თანაუგრძნოს ზემოდასახელებულ სახელმწიფოთ სურვილს, რომ ყოველ ღონესა ხმარობს დაუახლოვდეს და დაუმეგობრდეს საფრანგეთსაო, დასძენენ ბოლოს გაზეთები.

---

# დამაკვირდი

სწავლული თავისს სამშობლოში ოქროა, მიწაში ღრმად ჩამარხული.

არაბული ანდაზა

***

თავ-მოსაწყენს თხუზულებას ის კარგი ღირსება აქვს, რომ იგი კრიტიკოსთაც ამძინებს.

მარიამ ებნერი ეშენბახისა

***

პოეტის თარგმნა შეუძლებელია.

ვოლტერი

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან

(ამოკრებილი ამბები)

ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ შპიცბერგენიდგან ჰაეროსტატით აფრინდა ინჟენერი ანდრე, რომელსაც აქვს განზრახვა და იმედი ამ ჰაეროსტატით ჩრდილოეთის პოლიუსს მიახწიოსო. ანდრეს ჰაეროსტატის აფრენის ამბავი დაწვრილებით არის აწერილი ერთს გაზეთში ერთის კორესპონდენტის მიერ, რომელიც თითონ დაესწრო ამ ამბავს.

„29 ივნისს დილიდგანვე ჩინებული დარი იდგა. ანდრე დიდ ხანს მოელოდდა, რომ ქარს სამხრეთიდგან დაებერა ჩრდილოეთი-

---

კანტორა-ბანკის წინ, გაკრიალებულ ეტლში შებმული რაშებივით ცხენები გაჩერდნენ, ეტლიდგან ევროპიულად ჩაცმული, მაღალ-ცილინდრიანი, სამგორის ბულასავით კისერ-ჩასქელებული და ჭარხალივით ჩაწითლებული კაცი გადმოვიდა თავის ოქროს თავიან ტროსტით, კანტორაში შევიდა და მომუშავე გამგეობას თავაზიანად მიესალმ-ქალამა:

— კნიაზებს გაუმარჯოს! რას მოგახსენებთ: მე ქერი მინდა ასი ათასი ფუთი და ხორბალიც—სამოცი ათასი, რა ფასად მომცემთ?

— უკაცრაოდ, თქვენი გვარი, ბატონო... ჰო, უკაცრაოდ,ველარ გიცანით. ოქვენ, მგონი, პოლკებს აძლევთ ქერსა და ხორბალს.

— დიაღ „ტოჩნო ტაკ“, კნიაზ, იმათ ვაძლევ და რაც ტიფლისს აქათ, ისემე, სიღნაღის, თელავის, თიანეთის თუ ზაქათალის შოშეინებია— იმათაც მე ვუშვრები ქერის დოსტავიტს, რადგანაც იმათი სტანციებიც სულ მე მაქვს ტორგით აღებული. ექნობამდის ასზედ მეტი სულადის მსყიდველი ჩარჩი მყავდა სიღნაღის უეზდში გაბნეული, მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, იმათი ჩიჩინით თავის ტვინი მქონდა გალაყებული, ეხლაკი ძალიან, ისემე... ჰო, ძალიან მიხარიან, რომ ასეთი ობჩევსტვო გააკეთეთ, ამას იქით პირდაპირ თქვენ თითონ უზამთ ფოდრაჩიკებს დოსტავიტს. დიაღ, კრაინი ცენა მიბრძანეთ, კნიაზ, ქერისაც და პურისაც.

— გამოტეხით და გულ-წრფელად უნდა მოგახსენოთ, რომ რადგანაც თქვენ ამ მოკლე ხანში ვადა გითავდებათ და მალე „ტორგები“ იქნება; თუქურმიშა ლაგოდეხის პოლკების და თვით იმ გზის სტანციების აღებასაც ჩვენი მეურნეთა საზოგადოება აპირებს, რადგანაც მისი უფრო უპრიანია, ამას თვით მთავრობაც გვირჩევს და, მაშასადამე, ჩვენი მთელის მაზრის საზოგადოებისათვის დიდი სირცხვილიც-კი იქნება, თავის კარ-წინ, თვალ-წინ თავის სულადი პირდაპირ თითონვე არ აძლიოს ჯარებსაც და სტანციებსაც და სასხვის ხელოდ გაჰხადოს.

ეს სიტყვები ზარბაზნის ტყვიასავით მოჰხვდა საბრალო „ფოდრიადჩიკს“ სახეზედ ფათალოს ფერი დაედო, გონების დავთრები აერია ასეთის ელდის მკვრელ მოულოდნელობისაგან და ისე დაბნეულად გამოვიდა და ჩაჯდა თავისს ეტლში, რომ აღარ ახსოვდა: ვინ იყო, სად იყო, რისთვის იყო და საით მიდიოდა.

გაიარა რამდენმამე კვირამ და ხ˒ენებულ პოლკებისა და სტანციებისათვის დიდ-ძალი ქერისა და ხორბლის ძლევა „სიღნაღის მაზრის მეურნეთა საზოგადოებას“ დაჰრჩა საჯარო ვაჭრობით. საბრალო ჩარჩი-კი ამ დროს ჩალოგინებულიყო და გავარვარებული სიცხეში ამ ერთსა და იმავე სიტყვას ჰბოდავდა შეუწყვეტლად; „მიშველეთ, წელიწადში ორი ათასი თუმანი მოგება წამართვესო“. მაგრამ შველის ნაცვლად „გლავნი დოქტორები“ მარტო ცივ „კომპრესებს“ ადებდნენ მოპარსულს თავზედ...

მიიწურა ენკენის თვეც და აგერ მეურნეთა საზოგადოების ამბარ-საწყობებთან აშენებული უზარმაზარ მარნის ეზოში ბუზივით ირევა ყურძნის ურმები, სწონავენ საფერავს, რქაწითელს, მწვანეს და ბუდეშურს ცალ ცალკე და ცალ-ცალკევე სცლიან გამზადებულ ნავებში დასაწურად. გამოდიან კანტორა-ბანკიდგან მევენახენი და თან გამოაქვთ ბარათები იმისა, თუ ვის რა ჯურა ყურძენი რამდენი ფუთი მიუწონია საზოგადო მარნისათვის და რამდენი ფული მიულია.

აგერ დაილია ღვინობის თვეც და სიღნაღის მაზრაში ჰალა-შოროქნის მუმლივით აირივნენ ტფილისიდამ და სხვა კუთხეებიდამ მოსული სირაჯები თავიანთ ღარძლა-შემორტყმული, ჩაფნახევრიან ჩაფებით; მაგრამ, ოხ, ეღდავ მოულოდნელის ბედუკუღმართობისავ! ეს რა ამბავია, რა ხაბარია, რა მომხდარა, რომ სოფლი-სოფლად მავალ სირაჯებს ზედაც აღარავინ უყურებს და ერთი ძე ადამიანიც აღარ ეუბნება მუდარით: წამო, ჩემი ღვინო ნახე და იყიდეო. ო, უფალო, ასეთი ოინ-დამცირება როგორ უნდა აიტანოს სირაჯების გულმა, თავ-მოყვარეობამ და დიდმა მოგების მგელივით გაუმაძღარმა მადა-წყურვილსურვილმა. განა ასეთი საქმე თქმულა და გაგონილა: კვლავ თითო სოფელში თითო სირაჯს ოცი და ორმოცი გაჭირებით ყელ-გადაგდებული კაცი ასდევნებია ხვეწნა-მუდარით: წამო, ჩემი ღვინო იყიდეო, და სირაჯსაც წყლის ფასად უყიდნია იმათგან ქარვა-ლალის რომივით ღვინოები თავის ჩაფნახევრიან, მოლის თავიანის ჩაფით და მუქთა ზედ-დასხმებით, და ეხლა, ეხლა კი, ფუ, ქვეყნის ჩარხის წალმა-უკუღმა ტრიალო!.. ყველა სოფლებში ამას ეუბნებიან სირაჯებს დაცინვის კილო-ღიმილით: მორჩა, მამილო, თქვენი საქმეო; ჩვენმა ქარვა-ლალის ღვინოებმა ერთს უზარ-მაზარ მარანში ზღვად მოიყარეს თავი და მცოდნე-ნასწავლი კაცები ჰპატრონობენო; თუ ქვეყნის გაჩენიდამ დღევანდლამდის ჩვენ დაგდევდით უკან და თითქმის დაჩოქილები გევედრებოდით თავ გაზვი˒დებულებს: წამოდით ჩვენი ღვინო იყიდეთო, ეხლა ჯერი თქვენია, წადით ახლა თქვენ დაუჩოქეთ და ევედრ˒ეთ ჩვენის ღვინოების მოხელეებს, იქნება მოგყიდონ ღვინის ფასად, და არა წყლის ფასად ჩაფ ნახევრიანის ჩაფებით და ათასის მუქთა ზედ-დასხმებითო.

აგერ „სიღნაღის მაზრის მეურნეთა საზოგადოების“ კანტორა ბანკის და მის ამბარ-საწყობთა ეზო მოედანი სირაჯ-მიკიტნებით ავსილა, ყველას რაღაც სამგლოვიარო დაღვრემილების შავი სევდა ღრუბელი გადაჰფარებია სახეზედ, ყველანი მწარე გულ-მწუხარებით ოხრავენ, გაკვირებით თავს იქნევენ და სასოწარკვეთილებით მოსთქვამენ: „ოხ, ეხლა-კი წავიდა ჩვენი ხეირი, ყველგან ხელიდგან გამოგვაცალეს მილიონი ალებ-მიცემობა და რაღა ვქნათო.

აბა, მობრძანდით, შევიდეთ საზოგადოების კანტორა ბანკში და მოვისმინოთ იქ რაღაზე სჯა-ბაასობენ.

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

საკენ. დაჰბერა სამხრეთიდგან ნიავმა, თან და თან გაძლიერდა და ამოვარდა ქარი.

ამ დროს მე გემზედ ვიყავი. საათის თერთმეტი იყო, რომ საეკლესიო გალობის ხმა მომესმა „Svensksund“-ის გემიდგან. მივიხედე და დავინახე, რომ გემზედ დიდი მზადება და მოძრაობა იყო. ცოტა ხანს შემდეგ ნავოსნები გადასხდნენ ნავებზედ და გასწიეს ნაპირისაკენ. გემის ერდოზედ დავინახე თვით ანდრე და იმისი ამხანაგები: ორი აფიცერი და ერთი ფრანგი. ყველანი ნაპირისაკენ წავიდნენ. ძლიერ გამიკვირდა: ნუ თუ ანდრე დღეს გაჰბედავს აფრენას ასეთს ქარში? ეს ხომ ყოვლად შეუძლებელია. ეჭვი არ არის, დღეს მხოლოდ ჰაეროსტატი უნდა გამოსცადონ, მაგრამ რაღა კვირა აირჩიეს ამისთვის? ვიდრე ამის ფიქრში ვიყავი, დავინახე, რომ ხალხი დაეხვია იმ ფარდულს, რომელშიაც ჰაეროსტატი იყო შენახული. ფარდულს ანგრევდნენ. ეხლა-კი დავრწმუნდი, რომ ანდრეს დღეს გადაუწყვეტია აფრენა და გავეშურე ჩემს ადგილისაკენ. იქ დამსწრე ხალხს ყველას დიდი მოუთმენლობა და აღელვება ეტყობოდა სახეზედ. მალე თვით ანდრე გაჩნდა ფარდულის ბანზედ და ძლიერის ხმით გასცემდა მუშებს ბრძანებას. თვით ანდრე და მისნი თანამოგზაურნი, სტრინდბერგი და ფრენკელი უკვე საგზაო ტანთ-საცმელით იყვნენ.

ჯერ ორი პატარა ჰაეროსტატი აუშვეს და ორთავენი ქარმა ჩრდილოეთისაკენ გააქანა.

ფარდულს საჩქაროდ ანგრევდნენ. ზღვის ნაპირას ნავოსნები იდგნენ და კანაფებსა სჭიმავდნენ, რომ ჰაეროსტატის ასვლის დროს არ დახლართულიყვნენ. ფარდულში გაფაციცებით მუშაობდნენ. ყველა საქმეში იყო გართული. ნავოსნებს კაპიტანიც ეხმარებოდა. ჰაეროსტატს გარშემო ჩამოჰკიდეს ქვიშით სავსე ტომრები. თვით ჰაეროსტატი ასწიეს ორის მეტრის სიმაღლეზედ (მეტრი თითქმის ჩვენებურს ადლს უდრის). მე სტრინდბერგს დავეხმარე და მტრედების გალია ჩამოვკიდე ნავის ზემოდგან; აქვე სურსათი იყო შენახული მოგზაურთათვის. მზარეულმა კალათაში ჩააწყო პირველი სადილი მგზავრთათვის. ფრენკელმა თან ლუდი მოიტანა ბოთლებით.

რაც მეტი ტომრები იყო ქვიშით, საჩქაროდ მოსჭრეს და მხოლოდ ზოგი ნავში ჩააწყეს. ჰაეროსტატის ერთს მხარეს ფრიალებდა შვეციის დროშა. ამაზედ ცოტა ქვემოდ კიდევ ერთი პატარა დროშა იყო, ცის ფერი, ერთის ქალის მიერ მოძღვნილი, ნიშნად სიკეთის ნდომისა. ჰაეროსტატის ქვეშ მიმაგრებული იყო ლერწამის ღერძი, რომელიც თვისის მხრით იმაგრებდა ორს დიდს იალქანს. იალქნები დიდის ფრინველის ფრთებსა ჰგავდა. იალქნებს მობმული ჰქონდა კანაფები, რომელთა შემწეობითაც ჰაეროსტატისათვის ესა თუ ის მიმართულება უნდა მისცენ ხოლმე.

სამის ნახევარზედ ყოველივე მზად იყო. ანდრე ალერსიანად გამოეთხოვა ყველა იქ დამსწრეთ, სალამი მისცა გაოცებულს სოფლის ხალხს და მადლობა უძღვნა ყველას, ვინც ჰაეროსტატის მზადებაში დაეხმარა. გამოეთხოვნენ ყველას აგრედვე სტრიდბერგი და ფრენკელი. სტრიდბერგი მეტად აღელვებული იყო. ანდრემ ხმა მაღლა დაუძახა ამხანაგებს: „სტრიდბერგ, ფრენკელ!“ სამთავენი ნავში ისხდნენ და სჭრიდნენ წვრილ სარებს. ანდრემ თვლა დაიწყო: ერთი, ორი, სამი... უეცრად გასჭრეს კანაფები და ჰაეროსტატი მედიდურად ავიდა ჰაერში. ანდრე სიხარულით დასცქეროდა დედა-მიწას. სამთავემ მოიხადეს ქუდები და დაიძახეს: „სალამი ჩვენს სამშობლოს, შვეციას“! ვისაც-კი თან ფოტოგრაფიის მანქანები ჰქონდათ, ჰაეროსტატის სურათები გადიღეს. ყველანი ზღვის ნაპირისაკენ გავეშურენით. ამ დროს ჰაეროსტატი 60 მეტრის სიმაღლეზედ იყო ასული. უეცრად შიშმა აგვიტანა ყველანი. დავინახეთ, რომ ჰაეროსტატი ქარს დიდის სისწრაფით მიჰქონდა სმერენბურგის სრუტეს კლდიან ნაპირისაკენ და კლდეზედ უნდა მიეჯახებინა, მაგრამ უეცრად სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარმა დაჰბერა, ჰაეროსტატი ზღვისაკენ გააქანა, ჩრდილო დასავლეთისაკენ და ისე ძლიერად დააწვა ზემოდგან ჰაეროსტატს, რომ ნავი ორიოდ წამს ზღვაში ჩავიდა. ამ დროს დავინახეთ, რომ ზღვის ნაპირას დარჩენილიყო სამი კანაფი, რომელიც ჰაეროსტატზედ იყო მიმაგრებული. ეს კანაფები საჭირო იყო ანდრესთვის. ასე ამბობდა, გაჭირვების დროს ძლიერ გამოგვადგებაო. უეჭველია, ჰაეროსტატის აფრენის დროს რგოლი როგორმე გადმოვარდა და კანაფები აქ დარჩა. არავინ იცის, თუ როგორ მოხდა ეს. მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ კანაფების აქ დარჩენა დიდს ზარალს არ მოუტანს ანდრეს, რადგანაც თან ბევრი წაიღო კანაფი.

ნავი რომ ზღვაში ჩავიდა, ანდრემ და მისმა ამხანაგებმა გადმოჰყარეს ქვიშით სავსე ტომრები და ჰაეროსტატი ისევ ჰაერში ავიდა და გასწია ჩრდილოეთისაკენ. სმერენბურგის სრუტესთან რომ მივიდა, გულმა ისევ ფანცქალი დამიწყო შიშისაგან. მაგრამ დურბინდით გავხედეთ და დავრწმუნდით, რომ თვალმა მოგვატყუა, ჰაეროსტატი რამდენსამე მეტრით მაღლა იყო კლდეზედ, მშვიდობიანად გადასცილდა კლდეს და გასწია პირდაპირ ჩრდილოეთისაკენ. სწორედ სამი საათი იყო, რომ ჰაეროსტატი სრულიად მიიმალა ცის სივრცეში.

ვნახავთ კიდევ როდისმე ანდრესა და იმის ამხანაგებს? ამას ვფიქრობდით ყველანი ორის საათის შემდეგ, როდესაც გემში ვისხედით და იმათ სადღეგრძელოსა ვსვამდით. თამამნი და გამბედავნი მოგზაურნი სულ ცოტა ხანს იყვნენ შპიცბენგერნის კუნძულზედ, მაგრამ დიდი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვეს იქ მყოფთა შორის. მოგზაურთა სადღეგრძელო ჯერ გრაფმა ერენსვაარდმა დალია. მერე მე მოვკიდე ხელი ჭიქას და სულითა და გულით ვისურვე ანდრესი და იმის ამხანაგების მშვიდობიანად დაბრუნება. შვეციელთ ამაზედ ოთხჯერ შესძახეს „ვაშა“.

ჩვენის მოსაზრებით, ქარმა ჰაეროსტატი ან გრენლანდიისაკენ წაიღო ან კიდევ ამერიკის ჩრდილოეთ მხრისაკენ.

მთელი შვეცია და ნორვეგია ძლიერ თანაუგრძნობს ანდრეს, მაგრამ თვით სტოკჰოლმის მცხოვრებთა აღელვება ენით არ ითქმის. სტოკჰოლმიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ხალხი ჯერაც არ დამშვიდებულაო. გაზეთები დამატებებით იბეჭდება და ერთს წუთში ათასობით იყიდება თურმე. ქუჩებში ყველგან კედლებზედ გაკრულია დეპეშები. ყველგან იკრიბება ხალხი და ვინ იცის, რას არა ჰლაპარაკობენ ამ „საეროო“ ამბის გამო. ზოგი ამტკიცებს, ანდრე მშვიდობიანად დაბრუნდებაო, ზოგს ეს ძლიერ საეჭვოდ მიაჩნია.

ყველა იმის ფიქრშია: საით წაიღებს ქარი ანდრეს ჰაეროსტატს? სად დაეშვება ჰაეროსტატი? მიაღწევს თუ ვერა ჩრდილოეთის პოლიუსს? რა თქმა უნდა, ამისი გადაჭრით თქმა არავის შეუძლიან. მეცნიერმა ნილს ეკჰოლმმა, რომელიც შარშან ანდრესთან ერთად აპირებდა წასვლას, შეადგინა რუკა, რომელზედაც აღნიშნულია ვარაუდით საით და როგორ უბერავს ქარი ჩრდილოეთ ქვეყნებში. მეცნიერი ეკჰოლმი 1882—83 წელს ჩრდილოეთ ქვეყნებში იყო და იქ იკვლევდა ჰაერის ყოველ გვარ მოძრაობას. ეს რუკა ამ გამოკვლევის მიხედვით არის შედგენილი.

გერმანიის ერთის გაზეთის კორესპონდენტი დაეკითხა ჰამბურგის პროფესორს ნეიმაიერს, რასა ჰფიქრობთ ანდრეს მოგზაურობაზედაო და მან უპასუხა, ამ ამბავმა ძლიერ გამაკვირვა, ამაღელვა და დამაფიქრაო. მე ძლიერ მაკვირვებს გამბედაობა და გულადობა ანდრესიო,—სთქვა პროფესორმა,—მაგრამ იმის თქმა-კი, რით გათავდება ეს საოცარი მოგზაურობა, არც მე შემიძლიან და არცა მგონია, რომ ვისმეს შეეძლოს. ბევრსა ჰგონია, რომ ანდრე ჯერ ჩრდილოეთის პოლიუსს მიაღწევს და მერე მეორე მხრიდგან დაბრუნდებაო, მაგრამ ძლიერ ძნელია სთქვას კაცმა, საითკენ წაიღებს ქარი ჰაეროსტატს. ზოგი კიდევ ამბობს, ანდრეს მოგზაურობა ძალით თავის მოკვლასა ჰგავს და ჰაეროსტატის დაბრუნების იმედი არ არისო. მე არც ამ აზრს ვეთანხმები. სრულებით არ არის საკვირველი და არც შეუძლებელ საგნად მიმაჩნია, რომ ანდრემ პოლიუსს მიაღწიოს და მშვიდობიანად დაბრუნდეს. მრწამს ისიც, რომ ანდრეს მოგზაურომა (თუ დაბრუნდა) დიდს სარგებლობას მოუტანს მეცნიერებას, მაგრამ ის-კი ვერ გამიგია, როგორ მოახდენს ანდრე საჭირო გამოკვლევას ჩრდილოეთის პოლიუსზე, თუ ძირს არ დაეშვება. ანდრე გულადი კაცია და ამასთან მცოდნე ინჟენერიც არის. ეს კარგად ვიცი, მაგრამ რაც შეეხება სამეტეოროლოგიო გამოკვლევას, ეს საქმე არ იცის ზედ-მიწევნით. ანდრეს აზრი და ანგარიში შესახებ იმისა, როგორი ქარი უნდა უბერავდეს ჩრდილოეთისაკენ, ცალიერს ოცნებას წარმოადგენს, თუმცა ესეც-კია, რომ ეს ოცნება და მოსაზრება სამეცნიერო ნიადაგზედ არის დამყარებული. ბოლოს კორესპონდენტმა ჰკითხა პროფესორს: როგორა გგონიათ, ანდრეს ჰაეროსტატი რომ ჩრდილოეთის პოლიუსთან დაიღუპოს, ცოცხალი გადარჩება თუ ვერა და თუ შესძლებს სადმე ხალხით დასახლებულ ალაგას მისვლასაო? პასუხის მაგიერ პროფესორმა მოაგონა კორესპონდენტს ამბავი ნანსენისა, რომელიც დიდის უბედურებისა და მრავალის ხიფათის შემდეგ მშვიდობიანად დაბრუნდა სამშობლოში. ვინ იცის, იქმნება ანდრესაც ბედმა არ უმუხთლოს. დასასრულ პროფესორმა სთქვა: „სწორედ მოგახსენოთ, სინიდისი ნებას არ მაძლევს გადაჭრით ვსთქვა რამ იმაზედ, რის დამტკიცებაც არ შემიძლიან“.

## წერილი რედაქციის მიმართ

დიდს მადლობას ვწირავთ აზ. ალექსანდრე დავითის ძე ნიკოლაიშვილს, რომელმაც გადმოქვცა მის მიერი შეკრებილი ქ. ოდესის ქართველობაში 50 მ. ნაგომარის წიგნთსაცავის სასარგებლოდ. სია შემომწირველთა: გიორგი აბულაძემ—2 მ. აბესალომ ნიკოლაიშვილმა—2 მ., ვლადიმერ გაგუამ—2 მ., ქიშვარდი ნიკოლაიშვილმა—2 მ., ილიკო ჰიჰაყუამ—2 მ., ჯიმშედ ნიკოლაიშვილმა—5 მ., ივანე ლეჟავამ—2 მ., ივანე სტეფანოვმა—2., არტემ ჩხაიძემ—1 მ., სიმონ ქაიხოსროს ძე ჯაყელმა—10 მ., კონსტანტინე ლეჟავამ—2 მ., ალექსანდრე დავითის ძე ნიკოლაიშვილმა—10 მ., პართენ გოთუამ—1 მ, ილია ქერქაძემ—2 მ. და დიმიტრი ნიკოლაიშვილმა—5 მ.

დამაარსებელნი: გრ. გუგუნავა, ნ. გეგელაშვილი

—

დიდ მადლობას ვუცხადებ პროვიზორ ლ. მიქაძეს, რომელმაც გამოგზავნა სხვა-და-სხვა წამლები სოფლის მცხოვრებთა დასახმარებლად.

სტ. ექ. ა. მუსხელი

# განცხადებანი


## იყიდება

კვირაცხოვლისა და „ობშჩესტვენი“ ქუჩაზედ, პოლიციის მე-5 ნაწილში ცალიერი ადგილი 70 ოთხ-კუთხი საჟ. საშენობო მასალით.

მსურველმა მიჰმართოს: დიდ „ვოდოვოზნი“ ქუჩაზედ, აივაზოვის სახლის ეზოში ე. თ.

(7—183—5)

**ხობის მონასტრის „იარმუკა“**

(10—17 აგვისტომდე ზუგდიდის მაზრაში)

ამით ვაცხადებთ: 1) კარვები წარსულს წლებზედ უფრო კარგი იქმნება. 2) კარვების ქირაც ნაკლებია სავაჭრო ადგილის მიხედვით: ხუთ მანეთიდგან ათის მანეთის მეტი არ იქმნება, და 3) სადარაჯო ფულიც ნაკლებია, შვიდს დღისთვის გამოერთმევათ მხოლოდ მანეთი თითო კარავისა და ყოველის მხრივ უშიშარნი იქმნებიან მოვაჭრენი.

ხობის მონასტრის წინამძღვარი რხიმანდრიტი სიმეონი

(3—ნ.—2)


ვერცხლისა


ოქროსი


ტფილ. გამოფენა.




## ქარხანა

ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)

## ა. ა. თუთაევისა

პატივცემული ტფილისისა და თითქმის მთელის ქართლ-კახეთის საზოგადოება დარწმუნდა, რომ ჩემის სამღებრო ქარხნიდგან (заводъ красокъ) ეძლევათ მათ საუკეთესოდ მომზადებული საღებავები (კრასკები). დადგა რა ზაფხული, ვამზადებ ყოველს ნაირს საღებავს: იატაკებისას, სახურავებისას, კარ-ფანჯრებისას, და სხვათა, მხოლოდ ამ წლობით განსხვავება იმაშია, რომ ზეთით არეულ კრასკებს ფუთს მანეთ ნაკლებად ვყიდით ნაღდზედ.

უმთავრესი ქარხანა გასაღესად კრასკებისა გადავიტანე მიხაილოვის ქუჩაზედ, სადაც პუშკინისეული ბაღია, სახლი № 97, და წვრილად გასაყიდად ერთი განყოფილება მაქვს იარმუკაზედ, სადაც აქამდის ვვაჭრობდი, იმის პირდაპირ, ქუთაისის სასტუმროს ქვეშ, და მეორე განყოფილება—ავლაბარში, სირაჯხანის თავზედ.

ყველა საქონლის ყიდვის მსურველთ მიჰმართონ პირდაპირ განყოფილებას, რადგანაც ხელოსნებს, თვისის პირადის ანგარაშების გამო მსყიდველები მიჰყავთ იქ, სადაც უვარგისს საღებავებს აძლევენ.

ამათ გარდა, ვკისრულობ ყოველ გვარს რემონტებს სახლებისას. საქონელი სხვა ალაგებშიაც გაიგზავნება ზეის გამოგზავნით 20% ფას-დადებულ.

ა. თუთაევი (—ნ.—1)

## ახალი გამოცემანი

### „წერა-კითხვის საზოგადოებისა“

**მეფე ერეკლე და ინგილო ქალი**, სახალხო მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა, ორი სურათით, ფასი ერთი შაური. ვინც ასობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა ოთხ კაპეიკად.

**დედა-ენა**, მეთორმეტე გამოცება, შევსებული მრავალი ახალი სურათით, რომლის რიცხვი აღემატება ამ ახალს გამოცემაში სამას სამოც სურათსა. წიგნი წინანდელზედ მეტია სტამბის მთელი თაბახით და შეიცავს 224 გვერდსა. ფასი კი წინანდელია—ორი აბაზი ყდით.

**ბუნების კარი**, მეცხრე გამოცემა, რომელშიაც პირველად არის დასურათებული ეტნოგრაფიული, გეოგრაფიული და ისტორიული განყოფილება ოცდა-ათი ახალი ნახატით. ფასი უწინდელია—90 კაპ. ყდით.

**რვეულები** ქართულის წერისა, „დედა-ენასთან“ სახმარებელი, ფასი ოთხი კაპ. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ასობით, მას რვეული დაეთმობა $3^3/_4$ კაპ.

**სალამური**, ანუ ქართული სახალხო სიმღერები, გადაღებულნი ოტებზედ ზაქარია ჩხიკვაძის მიერ, ფასი ხუთი შაური, ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ოცს ცალსა, აბაზად დაეთმობა.

**ოქროს მოყვარულები** მოთხ. ცშოკესი თარგ. ელენე წერეთლისა ფასი 15 კ.

**მთიულეთი** 1804 წ. ისტორიული ამბავი, ფასი 70 კ.

**ლექსები** ნ. ბარათაშვილისა მეხუთე გამოცება ფასი 40 კ.

აქვე იყიდება:

**მსავლის მცველნი**, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები, რომელშიაც აწერილია თექვსმეტი მცველი ჰირნახულისა ოცდახუთი სურათით, დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ, ფასი ერთი აბაზი. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის ოცობით, წიგნი დაეთმობა 16 კაპ.

**თავდადებულნი ქართველნი**, ანუ ისტორიულნი მოთხრობანი იაკობ გოგებაშვილისა, ფასი 10 კ. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ოცობით, წიგნაკი დაეთმობა 8 კაპეიკად. (3—უ—3)


Дозволено цензурою. Тифлисъ 15-го Іюля 1897 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.